

მემორანდუმი

თანამშრომლობის შესახებ

ქ. ბათუმი

07.10.2020 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის, მერაბ ხალვაშისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ალექსანდრე მითაიშვილის მიერ და მეორე მხრივ, შპს მედიკო ნეიშენ პეტ (შემდეგში „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის ქალბატონი გეეტა ჯეინის მიერ, ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. მემორანდუმის საგანია ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის (შემდეგში „ფაკულტეტი“) დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდეგში „პროგრამა“) ჩარიცხვის მიზნით უცხო ქვეყნებიდან (ინდოეთი, შრილანკა, ბანგლადეში, ნეპალი, ისრაელი და სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო) დაინტერესებული პირების (შემდეგში „აპლიკანტების“/„სტუდენტების“) მოზიდვის მიზნით მხარეთა თანამშრომლობის რეგულაცია;

1.2. უნივერსიტეტი ავტორიზებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს N56 გადაწყვეტილებით, რაც დასტურდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებით (<https://eqe.ge/res/docs/.%E1%83%A1.%E1%83%93.N5627.08.2018.pdf>);

1.3. ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა 360 კრედიტიანია (ხანგრძლივობა - 6 სასწავლო წელი). განახლებული პროგრამა დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 აგვისტოს N06-01/105

Memorandum

Of Cooperation

Batumi

07.10.2020 წელი

On the one hand, Legal Entity of the Public Law – Batumi Shota Rustaveli State University (hereinafter referred as “university” or “BSU”), represented by its Rector **Merab Khalvashi** and the Head of administration **Alexander Mitaishvili** and on the other hand, **Medico Nation Pvt LTD** (hereinafter referred as “Company”), represented by its Director: **Mrs. Geeta Jain**, the Parties hereby sign this Memorandum for the cooperation in the educational field and hereby agree as follows:

Article 1. General Provisions

1.1. The subject of the Memorandum is to Regulate the cooperation of the parties for the recruitment and admission procedures of persons (hereinafter referred as Applicants/students) from Foreign Countries: (INDIA, Sri Lanka, Bangladesh, Nepal, Israel and GCC Countries) to the BSU's Faculty of Natural Sciences and Health Care (hereinafter referred as “Faculty”) Graduate Medical Program (hereinafter referred as the Program);

1.2. . The University is authorized by the Authorization Council for higher educational institution's #56 decision issued on August 27th 2018, which is proved by the decision posted on LEPL National Center For Educational Quality Enhancement's website (<https://eqe.ge/res/docs/.%E1%83%A1.%E1%83%93.N5627.08.2018.pdf>);

1.3. BSU's English language Medical Graduate Program consists of 360 credits (Duration – 6 years of study time). The renewed Program is approved by the #06-01-05 resolution issued on August 22nd 2019 by the BSU's Academic Council, which is accredited by The

დადგენილებით, რომელიც აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 7 ნოემბრის N197 გადაწყვეტილებით, რაც დასტურდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებით (<https://eqe.ge/res/docs/N19707.11.2019.pdf>)

1.4. პროგრამაზე სწავლის წლიური (60 კრედიტის) საფასური 2019 წლის 1 ნოემბრიდან ჩარიცხული სტუდენტებისათვის შეადგენს 4000 (ოთხი ათასი) აშშ დოლარს, თანახმად ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 11 ოქტომბრის №07-01/44 გადაწყვეტილებისა.

1.5. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე კომპანია უფლებამოსილია მოიზიდოს სტუდენტები ბსუ-ში შესაბამის სასწავლო წელს აქტიურ სტუდენტთა რაოდენობისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით უნივერსიტეტისათვის განსაზღვრული კონტიგენტის ფარგლებში, ბსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ბსუ-ში მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტის გათვალისწინებით (ერთი სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ 100 სტუდენტისათვის სალექციო ჯგუფის შექმნის მიზნებისათვის). იმ შემთხვევაში, თუკი შესაბამის წელს მოზიდული ყველა სტუდენტის (შემდეგში „ნაკადი“) მომდევნო სასწავლო წლის საფასური ბსუ-ში არ დაიფარება ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ ვადაში, უნივერსიტეტი ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტებს შეუჩერებს სტუდენტის სტატუსს, ხოლო ფინანსური დავალიანების მქონე სხვა სტუდენტებისათვის დაიწყებს ახალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესს (მხოლოდ, შესაბამისი ნაკადიდან არანაკლებ 15 სტუდენტის შემთხვევაში). ამასთან, უნივერსიტეტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს (ან შეაჩეროს გარკვეული დროით) კომპანიის მიერ მოზიდული ახალი ნაკადის აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვაზე.

1.6. ბსუ-ში სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდის წესი განისაზღვრება „ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (განთავსებულია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის

Accreditation Council for Educational Programs by The #197 decision issued on November 7th 2019, which is proved by the decision posted on LEPL National Center For Educational Quality Enhancement's website (<https://eqe.ge/res/docs/N19707.11.2019.pdf>)

1.4. The annual tuition (60 credits) fees is 4000\$ for the students enrolled from 1st of November 2019, according to the No. 07-01/44 decision of the BSU's Representative Council which was issued on October 11th 2019.

1.5. Based on this Memorandum the Company is authorized to attract the students at BSU for the relevant academic year according the number of active students and limits determined by the legislature for the university contingent, considering the contingent of admitted students agreed with the BSU's administration (no less than 100 students for the one academic year, for the purpose of setting the lecture class). In case the all attracted students (hereinafter referred as "Intake") tuition fees are not covered for the following year stated within the period specified in this Memorandum, the University will suspend student status for those with financial debts and will start the new academic year for the students without financial debt (only no less than 15 students from the relevant student quantity per year). In addition, the University is authorized to refuse (or suspend for some time) the enrollment of Company's new students.

1.6. The rule for the payment of tuition fees is defined by the BSU's representative board's decision "BSU's Rules For the payment of Tuition fees for the foreign language educational program" (posted on the official website of BSU), which was familiar to the Company while signing this Memorandum. It is admissible to make changes to the Rule, which will also be posted on

დროისათვის გაცნობილია კომპანია. დასაშვებია წესში შეტანილი იქნეს ცვლილება, რომელიც ასევე განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე. „ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესი“ განიხილება წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად.

1.7. კომპანია: შპს მედიკო ნეიშენ პვტ რეგისტრირებულია-მისამართი: ა-61, სექტორი-65, ნოიდა უ.პ. ინდოეთი.

დირექტორი: ქალბატონი გეეტა ჯეინი (მოქალაქეობა: ინდოეთი, დაბადების თარიღი: 08-04-1983, პასპორტის ნომერი: L6379521)

მუხლი 2. კომპანიის უფლება-მოვალეობები

2.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის კომპანია ვალდებულია:

2.1.1. ბსუ-ში ჩარიცხვის მსურველებს (შემდგომში „აპლიკანტებს“) მიაწოდოს სრულყოფილი და უახლესი ინფორმაცია ბსუ-ში ჩარიცხვისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული პროცედურების (ჩარიცხვის წესის), ბსუ-ს პროგრამაზე სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის წესის (ადმინისტრაციული რეგისტრაციის), სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობების შესახებ;

2.1.2. უზრუნველყოს აპლიკანტი სავიზო-სააპლიკაციო ფორმებით (აპლიკანტთა შერჩევის დროს პრიორიტეტი მიანიჭოს ინგლისური ენის სრულყოფილ ცოდნას);

2.1.3. აპლიკანტის დაინტერესების შემთხვევაში გააცნოს ბსუ-სთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა და ბსუ-ში სწავლის პირობები: პროგრამის ხანგრძლივობა, პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობა, ყოველწლიური სწავლის საფასური (მათ შორის დავალიანებული სასწავლო კურსის განმეორებით ათვისების საჭიროების შემთხვევაში - 1 კრედიტის საფასური), სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგები, სასწავლო პროცესის

the official website of BSU. “BSU’s Rules for payment of tuition fees” is considered as an integral part of this Memorandum.

1.7. Company: - Medico Nation Pvt LTD-address: A-61, Sector-65, Noida. U.P. INDIA.

Director: Mrs. Geeta Jain (Nationality: INDIAN) Date of birth: 08-04-1983 Passport: L6379521

Article 2.

2. Rights and Obligations of the Company

2.1. For the purpose of this Memorandum, the Company shall:

2.1.1. Provide those willing to enroll (Hereinafter referred as “Applicants”) to BSU with complete and up-to-date information on enrollment procedures (enrollment rules) regulated by the Georgian legislature and BSU’s legal acts, amount of tuition fees and payment procedure (administration registration), prerequisites of the student status obtaining, suspension and termination.

2.1.2. Provide the applicant with the visa application forms. (While selecting the applicants, the Company is obliged to give priority to the fluent knowledge of English language)

2.1.3. Introduce the applicant with BSU’S agreement draft and learning conditions: duration of the program, the total credit amount provided by program, annual tuition fees (if its needed to repeat indebted course of study one credit fee) non-payment results of tuition fees, dates of the learning process and other terms (after the applicant was introduced above-mentioned agreement draft and terms, the company shall present to the BSU the

ვადები და სხვა (აღნიშნული ხელშეკრულების ფორმისა და პირობების გაცნობის შემდეგ აპლიკანტის ხელმოწერით დადასტურებული და სკანირებული ფორმა, აპლიკანტის შესახებ სრულყოფილ მონაცემებთან ერთად, კომპანიამ უნდა წარუდგინოს ბსუ-ს); 2.1.4. კომპანიის წარმომადგენლის მეშვეობით უნივერსიტეტის უფლებამოსილ პირთან, დადგენილ ან/და გონივრულ ვადებში, <u>აწარმოოს წერილობითი კომუნიკაცია შემდეგ საკითხებზე:</u> ა) აპლიკანტთა მიღების/ჩარიცხვის პროცედურების შესახებ (შესაბამის სასწავლო წელს მისაღები კონტიგენტი, აპლიკანტის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარსადგენი დოკუმენტაცია, ბსუ-ს თანხმობის წერილის გაცემის წინაპირობების და სხვა საჭირო ინფორმაციის შესახებ); ბ) აპლიკანტის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების, შემდეგში ამ აპლიკანტის საქართველოში ჩამოსვლის/ბსუ-ში გამოცხადების, ბსუ-ში მისი სწავლის ყოველწლიური საფასურის გადახდის (ქვეთარში უშუალოდ უნდა მიეთითოს ამ აპლიკანტის საიდენტიფიკაციო მონაცემები) შემდეგ ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზების (თარიღისა და უშუალოდ ბსუ-ში წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრა), აპლიკანტის ბსუ-ში ჩარიცხვის რექტორის ბრძანების გამოცემის, ბსუ-ში ყოველწლიური ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების, შესაბამისი სასწავლო წლის ვადების („აკადემიური კალენდარი“) და ამ აპლიკანტის ბსუ-ში სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით სხვა საჭირო ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით; 2.1.5. მის მიერ მოზიდული აპლიკანტის ბსუ-ში სწავლის პირველი სასწავლო წლის საფასური ჩარიცხოს ბსუ-ს ანგარიშზე (მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE 22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289; ამ	scanned and signed confirmation letter with the applicant details) 2.1.4. By the Company's representative to communicate in writing with the University's authorized person in stated or/and reasonable time on the following: a) About the admission/enrollment procedures (for the following academic year amount of the acceptable contingent, documents list for the applicant which should be submitted to the Ministry of Education Science, Culture and Sport of Georgia, prerequisites for the BSU consent letter and other important information) b) The official order about the enrollment procedures at BSU issued by the official order of the Ministry of Education Science, Culture and Sport of Georgia, about the arrival of the applicant in Georgia and announcement at the BSU, about the payment of his/her annual tuition fees (the receipt must indicate the applicant identification details), about the signing the agreement between university (setting the date and defining the document to be submitted directly at BSU) , about the issuing the enrollment order by the Rector of BSU, annual administrative registration dates, academic year dated (Academic Calendar) or about the student status and/or other important information. 2.1.5. After the Applicant gets the official order of the Ministry of Education Science, Culture and Sport of Georgia the Company shall transfer the applicant's tuition fees for the first academic year of studies to the BSU's bank account (Recipient Bank: State Treasury; Name of the Recipient; Unified Treasury Account bank code- TRESGE22; Recipient's
---	---

ანგარიშის ცვლილების შემთხვევაში - ბსუ-ს მიერ განსაზღვრულ სხვა საბანკო ანგარიშზე), ამ აპლიკანტის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ბსუ-ს უფლებამოსილი პირის მიერ კომპანიის წარმომადგენლისადმი გაგზავნილ წერილში მითითებულ ვადაში (არაუგვიანეს შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე 2 კვირისა).

2.1.6. მის მიერ მოზიდული აპლიკანტის ბსუ-ში სწავლის მე-2 და ყოველი მომდევნო სასწავლო წლის საფასური ჩარიცხოს ბსუ-ს ზემოაღნიშნულ ანგარიშზე, ამ სტუდენტის ბსუ-ში სწავლის პერიოდში წინა სასწავლო წლის დასრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვისა.

2.1.7. მის მიერ მოზიდული აპლიკანტის ბსუ-ში სწავლის მე-2 სემესტრიდან პროგრამის დასრულებამდე პერიოდში სტუდენტის აკადემიური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში (როცა საჭიროა სტუდენტმა ხელახლა დაარეგისტროს შესაბამისი სასწავლო კურსი), დავალიანებული სასწავლო კურსის კრედიტების საფასური (ერთი კრედიტის საფასური = სწავლის წლიური საფასური - 4000 აშშ დოლარი : 60 კრედიტზე) ჩარიცხოს ბსუ-ს ანგარიშზე, ამ სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის რეგისტრაციის შემდეგ, არაუგვიანეს შესაბამისი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 10 სამუშაო დღისა;

2.1.8. ბსუ-ში ჩარიცხვით დაინტერესებულ პირებთან (აპლიკანტებთან) კომუნიკაცია წარმართოს წინამდებარე მემორანდუმის პირობების, კომპანიის მიერ მოზიდული აპლიკანტებისათვის ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებების, შესაბამის სასწავლო წელს აქტიურ სტუდენტთა რაოდენობისა და ბსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ბსუ-ში მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტის გათვალისწინებით (სასწავლო წლის განმავლობაში არანაკლებ 100 სტუდენტი).

Account/Treasury Code – 7 09017289 in case of account number change, to another account number defined by BSU) but not later than the date specified in the letter which is issued by the BSU's administration and sent to the Company's representative (no later than two weeks before the start of the academic year).

2.1.6. The tuition fee for the 2nd and each subsequent academic year of the attracted applicant's study at the BSU shall be transferred to the above-mentioned account of the BSU, right at the end of the previous academic year but no later than one month before the start of the new academic year.

2.1.7. In case of the occurrence of student's academic debt during the attracted applicant's study period at the BSU from the 2nd semester to the end of the program (when student is required to re-register for the relevant course), the credit fee for the indebted study course (one credit fee = the annual tuition fee – 4 000 US\$: 60 credits) shall be transferred to the above-mentioned BSU bank account, after the registration of the relevant course by the student, no later than 10 working days after the start of the relevant semester;

2.1.8. Communicate with the persons (applicants) interested in admission at the BSU according to this memorandum, the relevant academic year according to the active student amount and considering the number of contingent agreed with administration and orders of the Ministry of Education, science, culture and sport of Georgia (**no less than 100 student** per academic year)

2.1.9. აპლიკანტსა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, <u>მონიტორინგი გაუწიოს</u> სტუდენტის/აპლიკანტის საქართველოში ცხოვრების წესს და საქართველოში მისი ჩამოსვლის მიზანთან შესაბამისობას; იყოს მის მიერ მოზიდული აპლიკანტის/სტუდენტის წარმომადგენელი ბსუ-ში, სახელმწიფო, თუ საჯარო დაწესებულებებში (მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების წინაშე); 2.1.10. <u>სისტემატიურად</u> გაეცნოს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის სიახლეების შესახებ, რათა უზრუნველყოს კომპანიის მიერ მოზიდული სტუდენტების/მოსაზიდი აპლიკანტების ინფორმირება; 2.1.11. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერისთანავე <u>დანიშნოს ოფიციალური წარმომადგენელი</u> (ფიზიკური პირის სახელის, გვარის, საკონტაქტო ტელეფონის, ელექტრონული მისამართისა და ქალაქ ბათუმში სამუშაო ოფისის მისამართის მითითებით) და წერილობით აცნობოს ბსუ-ს, ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@bsu.edu.ge) ან/და ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით. 2.2. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის კომპანია უფლებამოსილია: 2.2.1. კომპანიის მიერ დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვოს, მიიღოს, დაამუშაოს და გაავრცელოს ინფორმაცია, წინამდებარე მემორანდუმის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული კომპანიის ვალდებულების შესრულების მიზნებისათვის; 2.2.2. აწარმოოს მოლაპარაკება და გამართოს შეხვედრები ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით დაინტერესებულ პირებთან უცხო ქვეყნებიდან: უცხო ქვეყნებიდან (ინდოეთი, შრილანკა, ბანგლადეში, ნეპალი, ისრაელი და სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო) შესაბამისი წლისათვის ბსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებული,	2.1.9. Monitor by the Company's representative the student/applicant's lifestyle and compliance with the purpose of his/her arrival in Georgia, the Company shall be the representative of the applicant/student to the public institutions (including law enforcement agencies) according to the agreement concluded between the applicant and Company 2.1.10. Company Systematically shall read the information posted on BSU's official web site about the academic news, in order to provide full information to the students and future applicants. 2.1.11. Upon signing this memorandum to appoint official representative (with name and surname of the physical person, telephone number, email, and office address in Batumi) and notify by the official letter BSU administration on the official email (info@bsu.edu.ge) or/and to the office of BSU. 2.2. For the purpose of this Memorandum, the Company is authorized: 2.2.1. Request, obtain, process and distribute the information by the Company's representative, according to this memorandum clause 2.1. for the purpose of fulfilling the company's obligation. 2.2.2. Negotiate and held the meeting with the persons interested in studying at BSU's Graduate Medical Program, persons from Foreign Countries: (INDIA,
---	--

მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტის ფარგლების გათვალისწინებით; 2.2.3. უნივერსიტეტის მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, ბსუ-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით შეხვდეს კომპანიის მიერ მოზიდულ ბსუ-ს სტუდენტებს უნივერსიტეტის კორპუსში (სასწავლო პროცესის შეუფერხებლად); 2.2.4. მოითხოვოს ინფორმაცია კომპანიის მიერ მოზიდული აპლიკანტების ბსუ-ში გამოცხადების, ხელშეკრულების გაფორმების, ჩარიცხვის, მათთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან/და შეწყვეტის თაობაზე ბსუ-ს რექტორის ბრძანების, მათ მიერ დარეგისტრირებული სასწავლო კურსების (კრედიტების) რაოდენობის (აკადემიური რეგისტრაცია) და ფინანსური ვალდებულების (ადმინისტრაციული რეგისტრაცია), პროგრამის მოთხოვნების შესრულების, პროგრამაზე სწავლის გახანგრძლივების შესახებ (ასეთის საჭიროების შემთხვევაში.); 2.2.5. „ბსუ“-ს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ორგანიზება გაუწიოს კომპანიის მიერ მოზიდული სტუდენტებისათვის უცხოელი კვალიფიკაციური ექიმი-სპეციალისტების (პროფესორების) მიერ ლექციების/ტრენინგების ჩატარებას, ასევე უზრუნველყოს სტუდენტების მომზადება უცხოური სამედიცინო გამოსაშვები გამოცდის (FMGE) ჩასაბარებლად (ტარდება ინდოეთის სამედიცინო საბჭოს (MCI)-ის მიერ). მუხლი 3. უნივერსიტეტის უფლება-მოვალეობები 3.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის უნივერსიტეტი ვალდებულია: 3.1.1. მემორანდუმის მოქმედების ფარგლებში კომპანიას <u>მიაწოდოს სრულყოფილი და უახლესი ინფორმაცია</u> ბსუ-ში ჩარიცხვისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული პროცედურების (ჩარიცხვის	Sri Lanka, Bangladesh, Nepal, Israel and GCC Countries) within the scope of the student enrollment amount agreed with the BSU's administration. 2.2.3. In order to obtain the information about the educational services provided by the University, by agreement with the BSU's administration, through an authorized representative, meet attracted students by the company in the campus of BSU (without interruption of the educational process) 2.2.4. Request information about student's announcement at the BSU, signing the contract, enrollment information or information about the termination and/or suspension of the student status. The registered credits for the academic year (academic registration) and financial obligations (administration registration), 2.2.5. After the agreement with the BSU's administration the Company provides to organize lecture/training by the foreign qualified medical professionals (professors), as well preparation for the Foreign Medical Examination (FMGE), which is held by the Medical Council of India (MCI) Article 3. 3. Rights and obligations of The University 3.1. For the purpose of this memorandum the University shall: 3.1.1. Provide the Company with complete and up-to-date information about the enrollment procedures at the BSU according to the procedures (enrolment rules) stated in Georgian legislature and BSU's
---	---

წესის), მისაღები სტუდენტთა კონტიგენტის, ბსუ-ს პროგრამაზე სწავლის საფასურის ოდენობის და მისი გადახდის წესის (<u>ადმინისტრაციული რეგისტრაციის</u>), ბსუ-ში ამ მემორანდუმით გათვალისწინებული აპლიკანტებისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წინაპირობების შესახებ; 3.1.2. გაუგზავნოს კომპანიას ან/და მის წარმომადგენელს (რომელსაც კომპანია განსაზღვრავს წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული წესით) პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტსა და ბსუ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა; 3.1.3. უნივერსიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლის (ფაკულტეტის ადმინისტრაციის ან/და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის) მეშვეობით კომპანიის წარმომადგენელთან, დადგენილ ან/და გონივრულ ვადებში <u>აწარმოოს წერილობითი კომუნიკაცია და განახორციელოს შესაბამისი აქტივობები ამ მემორანდუმის 2.1.4 პუნქტში აღნიშნულ საკითხებზე, მათ შორის:</u> ა) ამ მემორანდუმით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის მოქალაქის/აპლიკანტის პროგრამაზე მიღების/ჩარიცხვის პროცედურების წესის დაცვითა და ბსუ-ში მისაღები სტუდენტთა კონტიგენტის გათვალისწინებით გასცეს „ბსუ-ს თანხმობის წერილი“ და სხვა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი; ბ) კომპანიის მიერ მოზიდული აპლიკანტის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბრძანებით ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდეგ ბსუ-ში ამ აპლიკანტის <u>პირველი სასწავლო წლის საფასურის</u> ბსუ-ს ანგარიშზე ჩარიცხვის (სახელობითად და დანიშნულების მითითებით, არაუგვიანეს შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე ერთი თვისა) და აპლიკანტის ბსუ-ში გამოცხადების, სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის და პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში გააფორმოს მასთან ხელშეკრულება;	legal acts, the exact amount of the students contingent, the tuition fees and the method of paying (administration registration). The procedures of obtaining, suspend and termination of the student status at BSU for the applicants mentioned in this Memorandum. 3.1.2. Send to the Company and/or to the representative (which will be appointed by the company according to this agreement) the agreement draft between the applicant and the BSU. 3.1.3. Communicate with the Company's appointed representative (faculty administration or BSU's department of strategic development and external relations) carry out the writing communication and activities stated in the clause 2.1.4. which includes: A) According to this Memorandum to issue the BSU's "letter of Consent" or any other information/document in accordance with the admission/enrollment procedures of foreign citizens. B) Sign the contract with the applicant after obtaining the right to be enrolled in the BSU by the Order of the Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia, transferring the tuition fee for the applicant to the account of BSU for <u>the first academic year</u> (with the name and purpose stated in the receipt no later than one month before the academic year), presenting the tuition fee receipt and all the required documents for the opening of the personal portfolio personally by the applicant at BSU.
---	---

გ) აპლიკანტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გამოსცეს ამ აპლიკანტის ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება და აცნობოს კომპანიას; დ) გონივრულ ვადაში აცნობოს კომპანიას ბსუ-ში ჩარიცხული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში), ასევე სტუდენტის მიერ დავალიანებული სასწავლო კურსის ხელახლა გავლის საჭიროების შესახებ (კრედიტის რაოდენობა, მისი საფასური და გადახდის ვადაც); ე) გონივრულ ვადებში აცნობოს კომპანიას მოზიდული სტუდენტებისათვის ბსუ-ში ყოველწლიური ადმინისტრაციული რეგისტრაციის და სასწავლო წლის ვადების („აკადემიური კალენდარი“) შესახებ; ვ) ყოველსემესტრულად აცნობოს კომპანიას იმ სტუდენტთა რაოდენობის (ვინაობის) შესახებ, ვინც სასწავლო პროცესის დაწყებამდე 2 კვირის განმავლობაში გაიარა აკადემიური რეგისტრაცია; 3.2. წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია: 3.2.1. ამ მემორანდუმით უცხო ქვეყნის მოქალაქის/აპლიკანტის პროგრამაზე მიღების/ჩარიცხვის პროცედურების წესის მოთხოვნების დაუცველობის ან/და ბსუ-ში მისაღები სტუდენტთა კონტიგენტის გადაჭარბების შემთხვევაში არ გასცეს „ბსუ-ს თანხმობის წერილი“ ან/და სხვა საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი; 3.2.2. არ გაუფორმოს კომპანიის მიერ მოზიდულ აპლიკანტს ბსუ-ში სწავლის შესახებ ხელშეკრულება, თუკი არ არის წარმოდგენილი ბსუ-ში ამ აპლიკანტის პირველი სასწავლო წლის საფასურის ბსუ-ს ანგარიშზე ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი (სახელობითად და დანიშნულების მითითებით, არაუგვიანეს შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე	C) Notify the Company about the order issued by the BSU's rector on suspension or termination the student status, D) Notify the company within a reasonable time of the suspension or termination of the student's status, about the prerequisites of issuing the order by the Rector of BSU (in case of existence), as well as the requirement for the student to resume his / her indebted course of study (credit amount, fees and term of payment) E) Notify the Company within reasonable time about the attracted student amount for the annual administrative registration and academic year dates ("Academic Calendar") F) Inform the Company on every semester about the number of students who completed academic registration two weeks prior before the starting new academic year. 3.2. For the purpose of this Memorandum The University is authorized; 3.2.1. In Case of non-compliance with the requirements of admission/enrollment procedures of the foreign citizens, or/and excess amount of students at the Faculty do not issue BSU's "letter of Consent" and/or any other important information/document according to this memorandum. 3.2.2. Do not sign the agreement with the applicant if the receipt of payment for the first academic year tuition fees is not submitted (with title and purpose no later than one month before the academic year) and/or Applicant will not appear at BSU's
---	---

ერთი თვისა) ან/და აპლიკანტი არ გამოცხადდება ბსუ-ში და არ წარმოადგენს მისი პირადი საქმის გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაციას; 3.2.3. კომპანიის მიერ მოზიდული აპლიკანტების/სტუდენტების ბსუ-ში სწავლის მომდევნო სასწავლო წლის საფასური თუკი არ იქნება ჩარიცხული ბსუ-ს ანგარიშზე, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 1 (ერთი) თვით ადრე მაინც, შეუქეროს მათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი; 3.2.4. კომპანიის მიერ მოზიდული აპლიკანტის ბსუ-ში სწავლის მე-2 სემესტრიდან პროგრამის დასრულებამდე პერიოდში სტუდენტის აკადემიური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში (როცა საჭიროა სტუდენტმა ხელახლა დაარეგისტრიროს შესაბამისი სასწავლო კურსი), თუკი არ იქნება გადახდილი დავალიანებული სასწავლო კურსის კრედიტების საფასური და სტუდენტი არ წარმოადგენს მისი გადახდის ქვითარს, არაუგვიანეს შესაბამისი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 10 სამუშაო დღისა, გააუქმოს სტუდენტის აკადემიური რეგისტრაცია ამ სასწავლო კურსზე; 3.2.5. კომპანიისაგან ან/და კომპანიის მიერ დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვოს, მიიღოს, დაამუშაოს და გაავრცელოს ინფორმაცია, წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მიზნებისათვის; 3.2.6. კომპანიის (მათ შორის კომპანიის მიერ ამ მემორანდუმის საფუძველზე დანიშნული წარმომადგენლის მიერ) წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული აქტივობის წინამდებარე მემორანდუმის ან/და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით წარმართვის შემთხვევაში გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება კომპანიას, ხოლო დარღვევის გონივრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში (არაუმეტეს ერთი თვეში) წერილობითი შეტყობინებით შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი. მუხლი 4. დასკვნითი დებულებები 4.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ	administration and will not represent the documentation required to open his personal case. 3.2.3. In case of tuition fees are not paid at least one month prior of the second academic year to suspend the student status. 3.2.4. If the student has academic debt before the finishing the academic year after the second semester (when required to re-register the course of the study by the student) and the student will not pay the amount of the academic debt credits and will not present the payment receipt no later than 10 days after the beginning of the semester to cancel the academic registration of the student for the academic year. 3.2.5. Request, obtain, process and disseminate information through the Company representative for the purpose of carrying the activities set forth in this Memorandum. 3.2.6. In case the company (including by the representative assigned by this memorandum) violates the clauses stated in this memorandum or/and violates the Georgian legislature BSU sends a written warning to the Company and if the failure is not eliminated in reasonable time (no more than one month) BSU shall terminate the Memorandum by the written notice. Article 4. Final Provisions 4.1. Parties will not be responsible for the complete or partly non-fulfillment, if it is cause by circumstances such as flood, fire, earthquake and other natural disasters, also war activities, state emergency or any other similar
--	--

შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და სხვა მსგავსი გარემოებები (ფორს-მაჟორი), თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე მემორანდუმის შესრულებაზე. თუ სახელმწიფოებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ წინამდებარე მემორანდუმი. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული პირების (კომპანიის წარმომადგენელი/ბსუ-ს ადმინისტრაციის (ფაკულტეტის) უფლებამოსილი პირი) მეშვეობით განახორციელებენ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ კომუნიკაციას. მხარეები სრულიად არიან პასუხისმგებელნი მათ მიერ მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. მათი ცვლილების შემთხვევაში (იგივე საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, რაც გათვალისწინებული მემორანდუმის 2.1.11. პუნქტით) აცნობებენ ერთმანეთს არაუგვიანეს 5 დღეში.

4.3. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი (ქართული ან ქართულ-ინგლისურ ენოვანი) შეტყობინება უნდა გაიგზავნოს კომპანიის ან/და კომპანიის წარმომადგენლის ელექტრონული ფოსტაზე ან/და შეტყობინების ორიგინალი - მემორანდუმში მითითებულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის სახით. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება მემორანდუმში აღნიშნულ მისამართზე, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება ელექტრონულ მისამართზე ან/და საფოსტო მისამართზე ელექტრონული წერილის/საფოსტო გზავნილის წარდგენის მომდევნო დღიდან.

circumstances (Force Majeure) if they influence the fulfillment of the memorandum. If the contractual obligations of the total or partial non fulfillment of conditions lasted for more than two months, the parties have the right to terminate the memorandum. The party which has the Force Majeure circumstances has to inform the other party immediately in written form.

4.2. The Parties agree to communicate through the appointed persons by this Memorandum (Company Representative/BSU's administration (Faculty) authorized person). The Parties are fully responsible for the accuracy of the information provided by them. In the event of the information change (with the same contact information as provided in Memorandum clause 2.1.11) they shall notify each other no later than 5 days.

4.3. The Parties agree that any official communication between them shall be in writing. A written notice (Georgian or Georgian – English Language) must be sent by email and/or original version to the address stated in this memorandum, in the form of mail. If the notice cannot be delivered to the address stated in this Memorandum, the notice will be considered delivered and the dated indicated in the notice shall be calculated from the day following in the submission date of the email/Postage.

4.4. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; 4.5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ოთხ ეგზემპლარად (ორი ქართულად და ორი ინგლისურად), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. 4.6. წინამდებარე მემორანდუმის ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია წერილობითი ფორმით წარმოდგენისა და მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდგომ; 4.7. ყველა დანართი და მემორანდუმის დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად. 4.8. მხარეები და მათი წარმომადგენლები ვალდებული არიან დაიცვან ამ მემორანდუმით გათვალისწინებული კონფიდენციალური ინფორმაცია. 4.9. მემორანდუმი ძალაში შედის 2020 წლის ----- ----- და მოქმედებს ----- წლის ვადით.	4.4. Disputes or contrary ideas may be resolved by the agreement of both parties. And if agreement is not reached, the parties shall appeal to the court in accordance with the Georgian legislature. 4.5. The Memorandum is made in Georgian and English languages in 4 copies (2 Georgian and 2 English) each of them has the equal legal force and they are kept by the signing parties. 4.6. Any change or additions of The Memorandum is in force only after it is made in written and signed by the parties. 4.7. All the annexed and additions of the Memorandum which are signed by the authorized representatives of the parties are considered as the integral part of this Memorandum and shall be binding upon them. 4.8. The parties and their representatives are bound by the confidential information provided in this Memorandum. 4.9. Memorandum enters into force - 10 OCT 2020 --- and is valid for 10 OCT 2021 years
მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები და უფლებამოსილი პირებისა და წარმომადგენლების ხელმოწერები 5.1. უნივერსიტეტის რეკვიზიტები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეკვიზიტები: მისამართი: ქალაქი ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35; საიდენტიფიკაციო კოდი: N245428158; ტელ: +995(422) 27 17 86 (კანცელარია); ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge.	Article 5 – Parties details and signatures 5.1. University details: Legal Entity of Public law - Batumi Shota Rustaveli State University Details: Address: Batumi, Georgia, Rustaveli/ninoshvili street 32/35; Identification Code 245428158; Tel: +995 (422) 27 17 86; Email: info@bsu.edu.ge.

5.2. კომპანიის რეკვიზიტები:

შპს მედიკო ნეიშენ პვტ

მისამართი:

ტელ:

ელ. ფოსტა: info@mediconation.com

ვებ-გვერდი: <https://www.mediconation.com>

კომპანიის წარმომადგენლის ან/და საკონტაქტო პირის რეკვიზიტები: საკონტაქტო პირის (არსებობის შემთხვევაში) სახელი, გვარი და საკონტაქტო მონაცემები: ქალბატონი გეეტა ჯეინი,

ტელ:

ელ. ფოსტა: info@mediconation.com

კომპანიის დირექტორი: ქ-ნი გეეტა ჯეინი.

მხარეთა ხელმოწერები:

კომპანიის დირექტორი

გეეტა ჯეინი

ბსუ-ს რექტორი, მერაბ ხალოვაში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ალექსანდრე მითაიშვილი



ვიზირებები ბსუ-ს მხრიდან:

„მომამზადა“

5.2. Company Details:

MEDICO NATION PVT LTD

Address: .

Tel:

Email: info@mediconation.com

Web: <https://www.mediconation.com>

5.3. Details of company representative and / or contact person:

Mrs. Geeta Jain

Address:

Tel:

Email: info@mediconation.com

Signatures:

Director Mrs. Geeta Jain



Rector, Merab Khalvashi

Head of Administration Alexander Mitaishvili



06.10.20